საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

კვირა, სექტემბრის 18
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, სექტემბრის 18-ს დილის 10 საათზე საქართველოს მხედართა ძმათა სასაფლაოზე (რუსთაველის პრ. სამხედრო ტაძარი) გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

საქართველოს თავდადებულ

მხედართა

სულის მოსახსენებლად. მწირველია მისი უწმინდესობა სრულიად საქართველოს

კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი

გულდათუთქული მეგობრები: ალ. ბოკერია, დავით ჯილოვანი, სერ. ამაღლობელი, გ. გიორგაძე, ან. ნიჟარაძე, ალ. ქაბუკიანი, კოლ. მარგველაშვილი და სიმ. კახიანი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ დაუვიწყარი ამხანაგის II კურსის სტუდენტის

გიო (გიორგი) გამყრელიძის

უდროოდ გარდაცვალებას.

ამხანაგ ქალებს!

ამხანაგებო, ის ბრძოლა, რომელსაც დღეს აწარმოებს შეიარაღებული ჩრდილოეთის ჩაგრული მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ისტორიაში პირველი მაგალითია თავისი სიძლიერით. დედამიწას არ ახსოვს ასეთი ბუმბერაზული სოციალური რევოლუცია. უდიდეს ისტორიულ მომენტს განიცდის მთელი კაცობრიობა. ქალებს საზოგადოთ დღეს, და კერძოდ ქართველ ქალებს გვმართებს დიდი სიფრთხილის გამოჩენა. ჩვენს შეგნებაზე, ჩვენს საქმიანობაზე და ენერგიაზეა დამყარებული ჩვენი ადამიანური პიროვნული ცხოვრების განმტკიცება და საქართველოს თავისუფალი არსებობა.

თებერვლის გადატრიალება ჩვენს სამშობლო-[illegible] ადამიანურ ინტერესებზე და თავის სამშობლოს ბედიღბალზე დაფიქრებულ ქართველი ქალის გულში ორგვარ გრძნობას ბადებს: სასიხარულოსა და საბედისწეროს.

ჩვენ გვახარებს ძველი მსოფლიოს ნგრევა, რომელმაც დედაკაცის უდიდესი ღვაწლი კაცობრიობის წინაშე მონობით დააჯილდოვა, იმ მსოფლიოსა, რომელმაც ქალ ვაჟთა ურთიერთობას ყოველგვარი იდეალური სახე წაართვა და შეუბილწველი არ დასტოვა არც ერთი გრძნობა: არც მეუღლეობა, არც ნათესაობა და არც მეგობრობა. უნდა მოისპოს ბურჟუაზიის ბატონობა, რომელმაც კაცობრიობა სისხლისა და ცრემლის მორევში შეაცურა. და ვხედავთ კიდეც თუ როგორ ანადგურებს რუსეთის პროლეტარიატის ძლევამოსილი არმია თითოეული დაკვრით ბურჟუაზიულ წესწყობილებას. ამა თუ იმ მხარეში, ამ მოვლენით ჩვენი გული სიხარულით ივსება. მაგრამ ამ სიხარულთან ერთად ჩვენ გვაფიქრებს თვით ქართველი ერის, როგორც ასეთის ყოფნა არ ყოფნის საკითხი და ამის მიხედვით ჩვენ გვეჭირდება ორმაგი პოლიტიკის წარმოება: ბრძოლა კაპიტალისტურ წესწყობილებასთან და ცდა ქართველი ერის ამ ბრძოლიდან დაუზიანებლად გამოყვანისა.

საქართველოში არსებული საბჭოთა ხელისუფლება ძირს უთხრის კაპიტალისტურ მსოფლიოს, ის ამსხვრევს ბურჟუაზიულ პსიხოლოგიას და ქმნის ახალს, ახალი სოციალური ურთიერთობის დასამყარებლად. ეს მთავრობა ღირსია ყოველი დედაკაცის თანაგრძნობისა, იმ ქალების თანაგრძნობისა, რომელთაც პიროვნული და უფლებრივი ცხოვრების მოპოვების სურვილი ბრილიანტის სამკაულის მოპოვებაზე არ გაუცვლია. ამისათვის ჩვენ ქართველი მშრომელი ქალები მონდომებული უნდა ვიყოთ ამ ხელისუფლების განმტკიცებაში და გაძლიერებაში. ხოლო მეორე მხრით რამდენადაც მმართველი კომუნისტური პარტია სდგას მხოლოდ კლასობრივ ნიადაგზე, რამდენადაც ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს ეროვნულ საკითხს, იმდენად ჩვენთვის განსაკუთრებულად საყურადღებოა ქართველი ერის საკითხი. ჩვენ გვსურს ამ უმაგალითო ბრძოლის დროს ბურჟუაზიულ მსოფლიოს ნანგრევების ქვეშ არ მოჰყვეს ქართველი ერი, ვინაიდან თავისუფლება, სოციალიზმი და სხვა ამ ქვეყნიური ბედნიერება ჩვენ გვსურს ქართველი ერისათვის და არა ქართველი ერი მიწიერ ბედნიერებისათვის. ქართველი მშრომელი მასა, რამდენადაც ძლიერია თავისი სუსტი ბურჟუაზიის წინაშე, იმდენად ის უძლურია მსოფლიო შეიარაღებულ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საომრად, რომელთან ბრძოლაში მას დიდი წინდახედულობა მართებს.

ამ მოსაზრებით ჩვენ ვდგევართ ეროვნულ-კლასობრივ ნიადაგზე და ვინაიდან დღეს საქართველოში ამ გზას ადგია ერთად ერთი პარტია მემარცხენე ს. ფედერალისტებისა ჩვენც უნდა შევუერთდეთ მას, მით უმეტეს იმ დროს, როცა კომუნისტური პარტია ქალთა დამოუკიდებელ ორგანიზაციებს აწყობს. დღევანდელ პირობებში, ვისაც გული ასტკივნია თავისი უპიროვნო ცხოვრებით და საქართველოს ბედით მოუწოდებთ შემოკრბენ მემარცხენე ს. ფ. პარტიის გარშემო და ხელი შეუწყონ ამ პარტიის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

ამხანაგებო, გახსოვდეთ ოთხი წლის წინად ჩვენ მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი: „კლასობრივი და ეროვნული თავისუფლება“ ამ ლოზუნგის დამცველია მემარცხენე ს. ფ. პარტია, რომელიც ამ მოკლე ხანში იწვევს პარტიულ ყრილობას ქ. ტფილისში. ემზადეთ ამ ყრილობისათვის, შეგნებული მონაწილეობის მისაღებად.

ამხანაგებო, თქვენ იცით რომ დღემდე პროვინციის ქალები სრულიად მივიწყებული ყავდა ცენტრს. მათ არ იწვევდენ პარტიულ ყრილობებზე. მოიგონეთ მენშევიკების მიერ მოწვეული ეროვნული ყრილობა, სადაც არც ერთ დელეგატს ქალს ამ ყრილობაზე ნება არ მისცეს სიტყვა წარმოეთქვა. რაც ჩვენ მიერ აღნიშნული იყო გაზეთ „ხმა ქართველი ქალისა“-ში. მოისპო მამაკაცთა ბატონობა, მოისპო სიტყვისა და საქმის სხვადასხვაობა! ქალთა სწორუფლებიანობა დღეს ფაქტად იქცა და ვერავინ ვერ გაბედავს შეზღუდოს ჩვენი საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა, მოქმედება. ახალ მსოფლიოს აშენებაში საჭიროა ორთავე სქესის აქტიური თანასწორი მონაწილეობა. და მემარცხენე ს.-ფ. მოუწოდებენ საქართველოს ყოველ კუთხის ქალებს თავიანთ პარტიულ ყრილობაზე დასასწრებლად. ბევრი საჭირო და საინტერესო კითხვებია წამოსაყენებელი და გადასაწყვეტი ამ ყრილობაზე, როგორც თვით მოძმენისათვის, ისე ჩვენთვის ქალებისათვის, გაეცანით ამ ყრილობის დღიურ წესრიგს, მოსთხოვეთ ადგილობრივ ამხანაგებს გაგაცნონ იგი.

მოაწყვეთ პარტიის გარშემო ქალთა ორგანიზაცია ადგილობრივად. ცენტრში უკვე არსდება ასეთი, რომლიდანაც მიიღებთ სახელმძღვანელო დირექტივებს. ფხიზლად ამხანაგებო, ახალი ენერგიით, ახალი სულიერი განწყობილებით შეუდექით საქმეს! დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა მომავალ თაობის წინაშე, ეცადეთ შეასრულოთ იგი ღირსეულად. მე-20 საუკუნის ქართველმა ქალებმა თავისი ფურცელი უნდა შეიტანონ ისტორიაში, რომლითაც თავი მოსწონდეს მომავალ მოდგმას.

ამხანაგებო, არა კმარა მარტო სწორუფლებიანობის მიღება, უნდა ვეცადოთ მისი მოხმარებაც, რომ გავხდეთ შეგნებული მონაწილენი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებისა ახალ მსოფლიოს უნდა ჩაეყაროს ახალი საძირკველი, რომელშიაც უფლებამოსილი ქართველი დედა სრული თავისი ადამიანური ღირსების სიმაღლეზე მდგარი ახალი ცხოვრების შემომქმედ მოქალაქეებს აღზრდის. ბრძოლა, შეურიგებელი ბრძოლა ყოველგვარ ბურჟუაზიულ ნაშთებს, ერთხელ და სამუდამოთ საქართველოში ქალთა მონობის აღმოსაფხვრელად.

ამხანაგებო, გახსოვდეთ რომ ჩვენ შთამომავალნი ვართ იმ თავისუფალ ძლიერი სულით მოცულ დედებისა, რომლებიც ისტორიულად მონობას არ კადრულობენ და რომელთა გავლენით დიდს მგოსანს მე 12 საუკუნეში იმ დროისათვის განსაცვიფრებელი აზრი წარმოათქმევინა შესახებ ქალთა სწორუფლებიანობისა. აღიჭურვეთ მათებური ძლიერი რწმენით და ნებისყოფით თითეულ თქვენს მოქმედებაში თანამედროვე მომენტის შესაფერად სამშობლოსა და ჩვენი ადამიანური ღირსების აღსადგენად.

ფხიზლად ამხანაგებო, მეტი გამბედაობა, მეტი უნარი საქმისა!

გაუმარჯოს ქართველ ქალთა აქტივობას სოციალისტურ საქართველოს ასაღორძინებლად.

გაუმარჯოს მემარცხენე ს. ფ. პარტიას.

კატო მიქელ ძე.

ტრიბუნიდან

18.

მწვანეყვავილელს.

ვბეჭდავთ ს.-დ. პარტიის „უმნიშვნელო“ წევრის წერილს უმთავრესად იმიტომ, რომ სამუდამოთ გაიფანტოს ყოველივე აზრიც რაიმე წასისინების, ღვარძლის და სხვა ისეთ უფრო საპირადო ხასიათის გამოსვლების. პოლიტიკურ მუშაობის შესახებ თქვენს მამათმთავარს ნ. ჟორდანიას პუშკინის სიტყვებით საუცხოოთ აქვს განმარტებული ბრძოლის ის ხასიათი, რომელსაც აქვს ჩვენში და ყველგან. ნება მომეცით მოგაგონოთ ეს აზრი: „ბრძოლის დროს მრავალს სხვა და სხვა გვარ მოღვაწეებთან მოუხდა შეტაკება, კამათი და უსიამოვნება. მაგრამ ყოველთვის მათში ვებრძოდი ყალბ მიმართულებას, შემცდარ აზრებს და არასოდეს პიროვნებას. მე ისინი მუდამ მიმაჩნდა პატიოსან, მარა შემცდარ მოაზრედ. ამ ხანგრძლივ ბრძოლაში არასოდეს არ გამირევია პირადი ანგარიშები, არაფერი ისეთი, რაც იდგა საკამათო პრინციპების გარეშე. ერთი სიტყვით, პუშკინის სიტყვით რომ ვთქვა, მუდამ პატიოსნად მძულდა, გულწრფელად მიყვარდა“.

ყოველ ადამიანისათვის, რომელიც ფეხს შესდგამს იმ წმინდა ტაძარში, რომელსაც მწერლობა და საზოგადო მოღვაწეობა ეწოდება ყოველივე ეს მიგვაჩნია და მიგვაჩნდა უეჭველ დებულებად. მხოლოდ მეტად პატარა კაცები, აზრის ლილიპუტები, პიგმეები და სულით პარვენიუები არღვევენ ამ ელემენტარ დებულებას, ისინი ვერასოდეს ამაღლდებიან [illegible] მაღლა, ყველაფერში ანგარიშებს ეძებენ, სულს აფორიაქებენ და ხელს აფათურებენ. სერიოზულ ადამიანს ასეთ პატარა ჯურის ადამიანებთან არასოდეს არაფერი აკავშირებს.

ნუ თუ მტკიცება გვჭირია და საბუთების მოყვანა, რომ მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ჩვენ ვაწარმოებთ მხოლოდ და მარტო პოლიტბრძოლას? და განა ეს ბრძოლა დღეს დაგვიწყია ან მწვანეყვავილელი მხოლოდ ეხლა კითხულობს? მენშევიკურ პარტიას, რომ კარგი წარსული აქვს მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, ჩვენ ეს არა ერთხელ აღგვინუსხავს, ან რა საჭიროა ამის აღნუსხვა, როცა ამ ისტორიულ ფაქტის უარყოფა ისტორიის უდიდეს ფალსიფიკატორსაც არ შეუძლიან. მაგრამ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა ეხლა რევოლუციონერობისათვის საკმაო სრულიად არ გახლავთ. სავინკოვი ცნობილი მებრძოლი გახლდათ, დღეს ის ისეთივე შავრაზმელია, როგორც პურიშკევიჩი, მარკოვი და მოლიუკოვი. დღეს მენშევიზმი არსებითად კონტრ-რევოლუციური ძალა, რუსეთის რევოლუცია ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია მსოფლიო რევოლუციის უმთავრეს ძალად, მენშევიზმს კი მიაჩნია რუსეთის რევოლუცია მსოფლიო რეაქციის ბუდედ. ნუ თუ ყოველივე ეს მწვანეყვავილელს არ მოეხსენება? ჩვენგან საბუთებს მოითხოვს! კაკი წერეთლის ყველა გამოსვლა პარლამენტში არ არის საბუთი? გეგეჭკორის და ალექსეევის კლასიკური ისტორია წერეთლის შესახებ საბუთი არ არის? ნ. ჟორდანიას არჩევანი ევროპის იმპერიალიზმსა და რუსეთს შორის დაბეჭდილი გაზეთებში, საგანგებო ფურცლებში და კედლებზე გაკრული—საბუთი არ არის? თუ ყოველივე ეს საბუთი არ არის, ჩვენ აღარ ვიცით რაღაა საბუთი?

ბოლშევიზმის დამარცხება ჩვენ მიგვაჩნია რევოლუციის დამარცხებად და რუსეთის რევოლუციის მესვეურებს ისევე მიიყვანენ პარიზის ეხლანდელი ბატონები ეშაფოტთან, როგორც კომუნარები მიჰყავდათ პარიზის ჯალათებს. ამ ხალხთან კი დღეს მენშევიზმი მოკავშირებულია თბილად და იმედიანად. ნუ თუ თქვენ ან ვინმე ფიქრობთ, რომ მენშევიზმის ბატონობის ციტადელი სხვაა და არა ანტანტა? მენშევიზმის პოლიტიკური ანგარიშების განაღდება მხოლოდ ანტანტას შეუძლია, გარეშე ანტანტისა მათ არავითარი ძალა არ აქვთ, ამიტომაა მენშევიზმი მხოლოდ იმის ცდაში და ოცნებაშია, რომ აილაგმოს ბოლშევიზმი. აქ პოლიტიკაა აქ ბრძოლაა, აქ მიმართულებაა და ამ მიმართულებას სურს ანტანტის გამარჯვება იქნება ეს უშუალოთ თუ სხვა ძალის გამოყენებით. ჩვენ მიგვაჩნია მენშევიზმი უდიდეს რეაქციურ ძალად და იგი უნდა გადაშენდეს, მენშევიზმის ამ ლიკვიდაციას ჩვენი პარტია დღეიდან არ შესდგომია, ეხლა მენშევიზმი უფრო გამოაშკარავებული სდგას ჩვენს წინაშე ვიდრე ოდესმე.

მწვანეყვავილელს არ სურს ბოლშევიკების მარცხი რუსეთში. ჩამოიხსენით ბატონო მენშევიკოპის იარლიყი და ეს სარწმუნო გახდება, ყოველ შემთხვევაში ასეთი მენშევიკი არ არსებობს პოლიტიკაში, მწერლობაში, არსად, ასეთ მენშევიკისათვის მწვანეყვავილოვან კუნძულს ვერ შევქმნით, მით უფრო, რომ ასეთი კუნძული ირლანდიაა, სადაც ბრძოლაზე უფრო სწორი შეხედულება აქვთ.

ავტორს უკვირს: მენშევიკები როდის უარყოფდნენ თავისუფლებას. საქართველოს ეროვნული თავისუფლება მენშევიკებისათვის არასოდეს არ არსებობდა, არ არსებობს დღესაც. ამაზე ტომები დაიწერა. ეს ყველასათვის ცნობილია, შეიძლება ეს უცნობი მხოლოდ იმ პირისათვის არის, ვინც პოლიტიკურად 1918 წლის 26 მაისის შემდეგ დაიბადა, ხოლო მწერლობაში მხოლოდ ანგარიშის ფურცლების კითხვას უნდება.

მწვანეყვავილელი მოვალეობასაც მოგვაგონებს. ავასრულებთ, როგორადაც შევძლებთ, ვცდილობთ მთავარი საჭირბოროტო საკითხები არ გამოგვეპაროს. მოგაგონებთ ზოგიერთს: სასამართლის საკითხი, უნივერსიტეტის საკითხი, ქართული ენა, რკინის გზა, მუშათა კავშირები, გაერთიანება კავშირების, ფულის საქმე, სახელმწიფო საზღვარი, ოსეთი, აფხაზეთი, სამაჰმადიანო საქართველო, ნაციონალიზაცია, შიმშილის საქმე, ბინის საკითხი. ბატონო მწვანეყვავილელო ნუ თუ თქვენ 1921 წლის თებერვლის შემდეგ გაზეთებში მხოლოდ საინსინუაციო მასალას დაეძებთ, არ ხედავთ ამ სახალხო მთავარ საკითხების გარშემო გაჩაღებულ ჩვენს სასტიკ ბრძოლას და ჩვენგან მოითხოვთ ვიბრძოლოთ მხოლოდ იმისათვის, რომ მენშევიკებმა გაზეთის გამოცემის უფლება მიიღონ! ეს საქმე შეიძლება თავისთავადაც მოგვარდეს, მენშევიკური იდეებით ხალხის მოწამვლა ჩვენ საზოგადო მოღვაწეობად არ მიგვაჩნია, განზე გადავდოთ მთავარი ეროვნული საკითხები და მენშევიკებზე ვიმუშაოთ. ნუ დარდობთ, მენშევიკებს მშვენიერი ჟურნალი და ფურცლები აქვთ „თავისუფალი საქართველო“-ს სახით, ბევრსაც სწერენ, ისე სწერენ, როგორც ეს ძალიან აამებს თანამედროვე რეაქციას და ამისათვის ეტყობათ დიდ კრიზისს არც ქაღალდისას გრძნობენ, არც მელნისას, არც ინფორმაციისას.

თედო ღლონტი.

მოზაიკები

3.

მეტაფიზიკური ინდივიდუალიზმი.

გადაჭარბებული კოლექტივიზმი, რომელიც გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მარქს ენგელსის მეთაურობით გზას იკაფავდა ევროპაში არა მარტო როგორც პოლიტიკური ჰეგემონიის არამედ ფილოსოფიურ აზროვნების ხელთსაპყრობად, გამოუხმაურებელი არ დარჩენილა. ამავე დროს გამოაქვეყნა მაქს შტირნერმა თავის „ერთად ერთი და მისი საკუთრება“ („დერ აინციგე უნდ ზაინ აიგენტუმ“) ეს იყო 1844 წ. ამგვარად შტირნერი მეთაურობს იმ კონტრა-მარქსისტულ მიმდინარეობას ფილოსოფიაში. გერმანიის ფილოსოფიაში არსებითად კარლ-მარქსი იყო მეამბოხე და განდგომილი. შტირნერმა გააგრძელა ტრადიცია გერმანიის ფილოსოფიისა კანტის დღეიდან. შტირნერის დამსახურება ის იყო, მან სხვაზე უფრო მკაფიოდ გამიჯნა ინდივიდუალისტური აზროვნების სამყარო მარქს-ენგელსის ულტრა კოლლექტივიზმისაგან. მეოთხმოციან წლებში ევროპაში მარქსისტული ფილოსოფია ძლიერდება, ამ დროს გამოდის ნიცშე თავისი ზარატუსტრა პოემით.

1919 წელს, როცა ბერლინში როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი ასე გმირულად დაიღუპნენ, შტირნერ-ნიცშეს სულიერი მემკვიდრენი აარსებენ ბერლინში ინდივიდუალისტების კავშირს. ამ კავშირმა მოიწვია ბერლინში 1920 წლის 25—28 ნოემბერში კონგრესი ევროპიელ ინდივიდუალისტებისა. ამ კონგრესის სულიერი დირიჟორი იყო შტირნერიანელი ანსელმ რუესტი, რომელმაც ამ ხანებში გამოსცა ჟურნალი „ერთად ერთი“. ამ კონგრესის ორგანო იუწყება, რომ მისი მიზანია გზა გაუკაფოს ახალ „პერსონალისტურ-ეგოცენტრიულ კულტურას“. ეს გზა იყო გზა დიდი ევროპიელების, ჭეშმარიტად თავისუფალ მოაზროვნეთა ევროპაში: ვოლტერისა და კანტისა, გოეთეს და ბაირონის, შტენდალისა და მანცონის, კირკეგორის და მულტატულის, სტრინდბერგისა და ნიცშესი, ჰაინესი და შტირნერის.

მთელი დასავლეთ ევროპის განვითარება ეყრდნობა პიროვნებასა და პიროვნულ კულტს. ადრე რენესანსიდან ვიდრე საფრანგეთის დიდ რევოლუციამდის ამ გზით ვიდოდა დასავლეთის დიდი ცივილიზაციის ბედის ვარსკვლავი.

ეს ახალი კავშირი დიამეტრალურად უპირდაპირდება ამერიკანულ [illegible] ინდივიდუალიზმს, რომლის დევიზია: „Self made man“.

გარდა ამერიკანულ მექანიკურებისა, დღეს ევროპაში თავი იჩინა ღმოსავლეთის მოტრფიალეებმა, მათ შორის ნაწილი ინდოეთისა და ჩინეთის მეტაფიზიკაზე იშვერს ხელს, ნაწილიც კომუნისტურ რუსეთიდან მოელის ხსნას. როგორც ოდესმე ბიბლიურ, ფოლკლორულ, გაპარტახებულ ბეთლემის ცაზე ამოვიდა მნათობი წამებული კაცობრიობისა, ისე ჩამორჩენილი რუსეთიდან მოელის ხსნა ევროპასო. ევროპაში ჯერ საშუალო საუკუნოებშიაც ნათელი ჰქონდა გონების დაბნელებას და მცნებების არევას, აქ მიდიოდნენ ათი ათასი ენტუზიასტები ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად და ისინი გზის მაჩვენებლად ირჩევდნენ ბატებს, ან თხებს. სასოწარკვეთილი ღმოსავლეთის მოტრფიალენიც არ ჩამორჩნენ ფანტასტობაში ქრისტეს საფლავზე სადარაბოდ მიმავალთ.

ინდივიდუალიზმის ორდენის წევრები უარყოფენ ფორმულას: „სინათლე ღმოსავლეთიდან". ყველაფერი ამაში დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ მიუხედავად საშინელი მექანიზაციისა, ევროპას ცაზე იკუმშება ირაციონალიზმის ღრუბლების ზოლი.

დასავლეთის დიდი კულტურა იწყება პერსონალისტურ-ეგო ცენტრიულ აზროვნების აღორძინებასთან ერთად.

ამ ახალმა ინდივიდუალიზმა უნდა გამოაფხიზლოს ათასი წლების განმავლობაში მიძინებული პიროვნება, სახელმწიფოების, ეკლესიების, მეფების და სოციალისტების ორდენებისა და პარტიებისაგან დახშული პიროვნება ადამიანისა.

„პერსონალიზმი ეს არის ახალი და ჭეშმარიტი სოციალიზმი: ამ ახალი სოციალიზმის მრევლი შეიგნებს და იტყვის: „ძირს ადამიანის დამონავეაბული მანქანები. ძირს ციფირები"!

ჩვენ არ გვინდა არც „დემოკრატიული ინდივიდუაზმი (რომელსაც შეცდომით შტირნერს მიაწერენ), არც არისტოკრატიული ინდივიდუალიზმი ნიცშესი ჩვენ გვწადია მეტაფიზიკური ინდივიდუალიზმის აღორძინება".

„რევოლიუცია უნდა შესცვალოს ევოლიუციამ. პერსონალური და ინტერნაციონალური უნდა ვიქნეთ" აღიარებენ ახალი ინდივიდუალისტები.

ეს მოძრაობა გამოძახილს პოულობს იტალიაში: „—ინდივიდუალისტას" სახით. გეორგ ბრანდესი, შტირნერის მთარგმნელი დანიურ ენაზე, საპატიო წევრადაა არჩეული. ინგლისში ნიცშეს გამომცემელი ოსკარ ლევი, რომელმაც ხელი შეუწყო ნიცშეს გავრცელებას ჩინეთსა და ინდოეთში, ამ კავშირის სულის ჩამდგმელია კანალის გაღმა.

ჟურნალ „დერ აინციგერ" (ერთადერთი) პირველ ნომერში მოთავსებულია წერილები პოლიტიკაზე, მეტაფიზიკაზე, ეთიკაზე, მისტიკაზე. ჰერალიკერჰოფ ასწავლის აქ ახალ სომატიზმა.

„ხორცი აღფრთოვანებულია რას დაეძებთ სულს.

შენი სხეული სულია შენი. შენი ფილოსოფია შენი სხეულის ფილოსოფიაა".

მისი სტრიქონები სუნთქავენ ავგუსტინესებურ ძლიერ რელიგიოზურ თვით კონცენტრაციით.

ავტორი ეხება თანამედროვეობაში ფესვმოდგმულ რელატივიზმს. „რელატივიზმი პირველი საფეხურია მისტიციზმისა. დადაიზმი მომღიმარი მისტიკაა. ახლოვდება არა შპენგლერისებური „დასავლეთის დაქცევა" არამედ დაქცევა მთელი არსებული სამყაროსი". და ანგელოს მახარობლის პოზაუნის ხმაზე უნდა აღსდგნენ ახალი მისტიური ეგოცენტრიული პიროვნებანი.

საოცარია როგორც პირველი ათასი წლის შესრულებისას, მეათე საუკუნის მიწურულში ელოდნენ მისტიკოსები ევროპაში, „ქვეყნის წარღვნას" ისე დღესაც რაც უფრო უახლოვდებით მეორე ათასეულის უღელტეხილს და უკვე გაისმის ხმები მეტაფიზიკურ-მისტიურ მეორედმოსვლაზე.

ვირწმუნოთ, რომ საუკუნის უღელტეხილთან შევხვდებით ჩვენ კაცს, სასოების და იმედის ღიმილით გაცისკროვნებულს. მართლაც ის არის ახალი მეორედ მოსვლის მახარობელი, ვისაც უბნელეს დროსაც არ დაავიწყდება, რომ ანგელოს-მახარობლის მეტაფიზიკური საყვირის ხმაზე განახლდება ადამიანობის მოდგმა. და ეს იქნება ახალი სულის ემანაცია. უცადოთ ამ დროს.

ტფილისი 1921 წლის
სექტემბრის 10-ს

კონსტანტინე გამსახურდია.

გიო...

გიო გამყრელიძე გარდაიცვალა...

კვლავ ახალი მსხვერპლი. კვლავ დაკარგვა ძვირფასი ახლგაზრდის, საყვარელი მეგობრის. ბედი დასცინის ქუთაისის ახალგაზრდობას. სულ ექვსიოდე თვეში განახევრდა ჩვენი მოწინავე ამხანაგები.

პავლიკო ბეშკენაძე,
შალვა ტურაბელიძე,
გრიშა ჩაჩავა,
გიო გამყრელიძე,

გიმნაზიის 5 კლასიდან დაწყებული ერთი მიზნით, ერთი იდეალებით ვიდოდით ყველანი ერთად. დღეს კი...

გვაგონდება გიო, რომელიც ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა ორგანიზაციებში, გვაგონდება გიო, რომელიც თანამშრომლობდა გაზეთ „ხალხის მეგობარში". გვაგონდება გიოს მოწაფეობა, მისი ბავშვობა, სტუდენტობა. გვაგონდება გიმნაზიის დასასრულს ერთი საღამო, როცა ყველანი ერთ ერთ სასადილოში ვისხედით და გასულ ცხოვრების დატოვებისას ერთად ვიყავით თავმოყრილი, რომ ჩვენთვის არა ჩვეულებრივი საღამო სიამოვნებით გაგვეტარებია. იქ იყო პავლიკოც, გრიშაც, შალიკოც, გიოც. ვმხიარულობდით თურმე სამარის პირას, ვმხიარულებდით თურმე საუკუნოდ გამოთხოვების დროს. მას შემდეგ მხოლოდ რამდენიმე თვეა და ოთხი საუკეთესო მეგობარი აღარ არის...

აღარ გვეტირება... შევეჩვიეთ ცრემლებს... ჩვენთვის ჩვეულებრივ მოვლენად გახდა საზარელი ამბავი—მეგობრის დაკარგვა. გუშინ რედაქციაში ჩვენ სიას ვადგენდით ჩვენი ახალგაზრდა ძალებისას, რომელნიც იდეურ მუშაობას უნდა შესდგომოდნენ და გიოც იმ სიის პირველ რიგებში იყო, მაგრამ ამავე დროს თურმე ჩვენ უკვე აღარ გვყავდა გიო, იგი ჩვენი რაზმიდან სიკვდილის ულმობელ ხელს გამოეტაცა.

რამდენი მოგონება უნდა აღვწეროთ, რომ წარმოვიდგინოთ ჩვენი მუდამ ჩუმი, მუდამ მშრომელი, მუდამ მუყაითი გიო.

რისთვის გვტოვებთ მეგობრებო, რისთვის? განა დღეს უფრო საჭირო არ არის თქვენი შრომა და ბრძოლა? განა დღეს არ უნდა ვიდგეთ იქ, სადაც ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ერთად ვიყავით?

თქვენთან საუბარი ნეკროლოგით შევცვალოთ? რაღათ გვინდა ნეკროლოგი. მთელი ჩვენი, თქვენი მეგობრების ცხოვრება, ერთი დიდი ნეკროლოგი არ არის თქვენი დაკარგვის შემდეგ.

ვისთანღა დავრჩით მეგობრებო, ვის გვერდით ვიყოთ?

ჩვენთვის მოიცალა სიკვდილის ულმობელობამ? ჩვენთვის, ქუთაისის ახალგაზრდობისათვის დადგა უბედური ჟამი, როდესაც მან უნდა დაჰკარგოს მოწინავე ამხანაგები?

რაღა დაგვრჩენია თქვენს შემდეგ?

ვეღარაფერს გეტყვით გიო, ვეღარ გეტყვით იმიტომ, რომ ჩვენ არასოდეს ოფიციალურად არ მივმართავდით ერთმანეთს, ჩვენ ერთმანეთის სურვილები უსიტყვოდაც ვიცოდით და საქმით უმტკიცებდით ერთმანეთს მეგობრობას.

ეხლა ძალა აღარ შეგვწევს კიდევ მეგობრის საფლავი ვიხილოთ. აღარ შეგვიძლია შავ მიწას დავაცქერდეთ და ლამაზი აჩრდილები საყვარელი მეგობრების მიწაში ვეძებოთ. არც მოვცელთ შენთან ჩვენო ძვირფასო და არც არას გეტყვით...

ჩვენ გვძაგს ის საფლავები, რომელნიც ჩვენი მეგობრების სახეს ფარავს.

ჩვენ დუმილით გესაუბრებით მეგობარო და უფრო მეტს გეტყვის ეს დუმილი ჩვენო ძამიკო.

სერ. ამაღლობელი, ალ. ზოკერია.

ჩემი პასუხი

ღია ბარათი ბ. თედო ღლონტს.

წავიკითხე თქვენი წერილი „ტრ." № 2 და გულწრფელად აღვშფოთდი.

მართლაც როდის უნდა მიეღოს ბოლო იმ უსირცხვილო ლანძღვა-თრევას და წასისიანებას რომელსაც აწარმოებენ ს. დ—ის წინააღმდეგ ყველა ჯურის პატარა კაცუნები ერთის მხრით და თქვენ მეორეს მხრით.

ნუ თუ საჭიროა თქვენთან იმაზე ლაპარაკი, რომ უხეიროდ ნათქვამ სიტყვას უთქმელობა სჯობია და თუ ამაზე ლაპარაკი საჭირო არაა, როგორ მოხდა, რომ პუბლიცისტი რომელსაც საზოგადოება დიდი ხანია გიცნობთ ასეთ დანიშვნულს ჩადიხართ და უსისიანებთ?!.

რას ნიშნავს თუ არა წასისიანებას: **„ეს ის ხალხია, რომელიც დემოკრატიზმის გზით მიდის სოციალიზმისაკენ. ეს ის ხალხია, რომელთაც ანგორა და ტრაპეზუნდი ბერძნებს გადასცენო და სხვა".**

თუ თქვენ აქ გულისხმობთ საზღვარგარეთ მყოფ ყოფილ მთავრობის და პარტიის წევრებს, მაშინ რა საჭიროა მათი იმ ჭორებთან დაკავშირება რომელიც ადგილობრივ თითქმის ყოველ საათობრივ მიზანში გყავთ ამოღებული და რომელთაც არც უფიქრიათ არსად წასვლა და მტკიცეთ აქვთ გადაწყვეტილი თუ განევავთ საბჭოთა საქართველოს წარმატება და კეთილდღეობა, გეტყვით რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ წასისიანება და პატიოსან თანამშრომლობის ხალისის ჩაკვლაა და სხვა არაფერი.

რატომ ფიქრობთ, რომ ეს ჭორები თქვენ, მე ან რომელიმე კომუნისტზე ნაკლებ აწუხებს და აფიქრებს ყველა პატიოსან ს. დ—ს რომელსაც გულწრფელად უყვარს თავისი ხალხი და დამოუკიდებლობის ბედი?

რატომ ითხოვთ პასუხს იმ ხალხიდან, რომელსაც იცით ძალიან კარგად, რომ მათ ენაც აქვთ და საპასუხოც, მაგრამ თქმის უფლება და საშუალება კი არა.

თუ თქვენ გულწრფელი ხართ უკეთესი არ იყო თავისუფალ საქართველოში ჯერ სიტყვის და წერის თავისუფლება მოგეპოვებინათ და შემდეგ მოგეთხოვათ „დაუყონებლივი" პასუხი იმ ხალხიდან, რომელსაც არამც თუ უფასო ქაღალდი და მელანი არა აქვს ბაზარზე შეძენის, უფლებაც კი წაართვეს?

თუ თქვენ მართლა მოღვაწე და ხალხის მოამაგე ხართ რატომ ამ აშკარა უსამართლობაზე არ სწერთ ყველა თქვენი გაზეთის ნომრებში, რატომ არ მოითხოვთ ყველა მიტინგებზე და კრებებზე? რატომ არ გსურთ, რომ სხვასაც მოუსმინოთ?

მაგრამ თქვენ ამას არ იზამთ, რადგან მაშინ ყველასთვის თვალსაჩინო შეიქმნებოდა, რომ არის ჩვენი ხალხის ერთი დიდი ნაწილი რომელიც მართალია არც ფედერალისტობს და არც კომუნისტობს მაგრამ არც ერთ მათგანზე ნაკლებ არ შეებრძოლება და ებრძვის როგორც სიტყვით ისე საქმით ყველა მათ ვინც საქართველოს დაპყრობას განიზრახავს, ვინც ჩვენ ხალხს აჯანყებისკენ, საბოტაჟისკენ და სხვა მავნე აქტებისაკენ მოუწოდებს.

მან იცის ძალიან კარგად, რომ გაწყრეს ღმერთი და ბოლშევიზმი დამარცხდეს, თუ ვინ უნდა იქნეს მათი მემკვიდრე რუსეთში და ამიტომ ვინც ამ გაჭირვებულ დროს მათ ებრძვის, ყელში ხელს უჭერს და მათ დამარცხებაზე ოცნებობს ხალხის მტრად მოღალატეთ და ორგულად მიაჩნია.

დიახ, ძალიან კარგად იცის ეს ყოველივე და გულწრფელად თანაუგრძნობს საბჭოთა რუსეთის ეხლანდელ უბედურებას.

კიდევ მეტს ვიტყვი, იგია მაგალითი სხვებისთვის და ფართო აგიტაციასაც ეწევა შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების სასარგებლოთ.

ქვემოთ თქვენ სწერთ „ს. დ—ბი 25 წელი ებრძოდენ საქართველოს თავისუფლებასო" მართალია ეს ბ. თედო!? მერე როგორ მოხდა რომ პირველი გასროლილი ტყვია და მოქნეული მათრახი ს. დ—ბს ხვდებოდათ? მოიგონეთ მეფის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროები და უკანასკნელი სამი წელი.]

თუ ყოველივე ეს თავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს, მიპასუხეთ რადას ქვია მაშინ ბრძოლა თავისუფლებისათვის და რა გაკეთეთ თქვენ ამ ბრძოლაში ს. დ—ზე მეტი?

აი მიპასუხეთ ყველა ამ კითხვებზე დაამტკიცეთ საბუთებით ყველა ბრალდები და მაშინ დამერწმუნეთ უსათუოდ დაასუსტებთ ს—დ. პ—ის წინააღმდეგ შემთხვევაში იცოდეთ თქვენთვის და მემარჯვენე ფედერალისტებისთვის იგი მუდამ საფრთხე იქნება. მე არ მეგულება ისეთი სოც.-დემ. რომელსაც ამ ჭორებთან რაიმე კავშირი ქონდეს, არ ებრძოდეს ამ სიყალბეს და რომელიც მზად არ იყოს სასტიკათ შეებრძოლოს ყველას ვინც საქართველოს ან საქართველოს საშვალებით რუსეთის დამარცხებას განიზრახავს და თუ კი არიან ასეთები სადმე მიკვირს რა უნდა ქონდეთ მათ საერთო ს. დ. პ. ასეთია ჩემი აზრით როგორც ერთ უმნიშვნელო წევრის ს. დ. პ—ისა და გთხოვთ ნუ ზხამავთ ქვეყანას,—კმარა—ისედაც დიდია ხალხის უბედურება, ისედაც ყველგან სისხლის სუნია.

თუ ხალხის მოამაგე მწერალი ხართ სწერეთ ხალხის გაჭირვებაზე, სწერეთ მათ საწინააღმდეგო საშვალებებზე თორემ რა პატიოსან მოღვაწის საქმეა ძველი ანგარიშების გასწორება და თავი და თავი წასისიანება.

ქ. მწვანეყვავილიძე.

ახალი ამბები

— **ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლის განცხადება.** ამერიკული კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი ყოველივე ზომებს მიიღებს, რომ დახმარება შემოვიდეს ჩვენში.

— **ბანკეტი ანგორის მისიაში.** ანგორის მისიამ გამართა ბანკეტი მათი ჯარების გამარჯვების გამო ფრონტზე, ბერძნების წინააღმდეგ. ბანკეტზე მოწვეული იყო საბჭოთა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელიც.

— **ავტორის უფლება.** ახლო მომავალში გამოქვეყნებული იქნება პროექტი ავტორის უფლებისა.

— **კულტურული მუშაობა ახალ-სენაკში.** ახალ-სენაკის რაიონში კულტურული მუშაობა გაცხოველებულია. შედგენილია კომისია მუშათა ცენტრალური კლუბის დაარსებისათვის. ზომებია მიღებული სახალხო უნივერსიტეტის გახსნისათვის.

— **ოზურგეთის რაიონში** ხაბაგში ბაღის გახსნა გადაწყვეტილია ახლო მომავალში, აგრეთვე პროექტი არის შემუშავებული 50 სკოლის გახსნის შესახებ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

— **დრ. მთავარ კომიტეტის სხდომა** დანიშნულია ორშაბათს შუადღის 1 საათზე რედაქციაში.

უცხოეთი

წარმატება ჰაერით მგზავრობაში

რომი. 13 სექ. გაზეთი „კურიერ დელლა-სერა" აღნიშნავს, რომ ჰაერში ფრენის საქმემ ევროპაში ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ შეიძლება იქ სარგებლობა მათ, როგორც უბრალო ტაქსომოტორიან ავტომობილით. ინგლისში, კერძოთ კროიდენში ყოველთვის მზათ არის შემთხვევითი მგზავრის მომლოდინე აეროპლანი. ხშირია ასეთი შემთხვევა: მოდის მანდილოსანი, რომელსაც სურს ინახულოს ოსტენდესთან მახლობელ აგარაკში ავათ გამხდარი თავისი შვილი. ათი წუთის შემდეგ ჰაეროპლანი მისრიალდება ჰაერში და ორი საათის შემდეგ დედა უკვე შვილის სასტუმროთან ზის.

ლონდონი 11 სექ. ინგლისის მუშათა ყრილობაზედ კარდიფში მიღებულ იქმნა დადგენილება სამთო წარმოებათა მთელი მსოფლიოს მუშების შეერთებისათვის. შეერთების მიზანია გაფიცვა, თუ ახალი მსოფლიო ომი დაიწყება.

ანგორა. სექ. 10 ფრონტზე საერთოდ გამარჯვებაა. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და იარაღები. მოწინააღმდეგე გარბის.

ტრაპიზონი. სექ. 12 მთელ ოსმალეთში იმართება დღესასწაულები ბერძნების დამარცხების გამო. ტრაპიზონში გაიმართა სამხედრო აღლუმი.

ტრაპიზონი. ანგორის მთავრობის დადგენილების თანახმად დაიწყო სამხედრო პირების აღწერა.

ნაუენი. სექ. 14 ელექტრონის სადგურთა მუშების [illegible] განახლდა ელექტრონის [illegible] რება და ტრამვაის [illegible]

ნაუენი სექ. 14 [illegible] შელმა დაამტკიცა, რომ ერცბერგერის მკვლელობის მონაწილე არის სტუდენტი ტილეზენი და მოხელე შულცი.

ნაუენი. სექ. 15 ოფიციალი სტატისტიკის ცნობით ინგლისში უმუშევართა რიცხვი აღის 1.530.700 კაცამდე.

ნაუენი. სექ. 15 გერმანიის მედიცინური მისია გაემგზავრა რუსეთში დახმარების აღმოსაჩენად.

ნაუენი. სექ. 15 კორეის გენერალ გუბერნატორის სასახლეში გაისროლეს ორი ბომბი. ბომბებმა დანიშნულებას ვერ მიაღწია.

ქალაქის ტრამვაი

ტრამვაის მოძრაობა განახლდა. თუ რამდენად საჭიროა დღეს ქალაქში ტრამვაი, ამის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენ მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა გვაინტერესებს ტრამვაის სარგებლობის საქმეში. როგორც დადგენილი იყო პირდაპირი გზა ღირს 5000 მანეთი, ხოლო ნახევარი 3,000 მანეთი. ასეთ პირობებში ცხადია მუშისათვის ყოვლად წარმოუდგენელია ტრამვაით სარგებლობა. როგორც ვიცით მუშა-მოსამსახურეებზე არ ვრცელდება ეს გადასახადი და ისინი მიიღებენ უფასო „აბონემენტებს", რომლითაც მათ შეეძლებათ ტრამვაით სარგებლობა. მაგრამ დღე დღეობით ასეთი „აბონემენტები" არავის მიუღია. ამიტომაც არის, რომ ცარიელი ვაგონები დასრიალებენ ქუჩებზე და შიგ ორი თუ სამი კაცი ზის, ვისაც „გაუბედია" ხუთი ათასი მანეთის გადახდა.

საჭიროა, რაც შეიძლება მალე მოგვარდეს აბონემენტების დარიგება და მუშა-მოსამსახურეებს საშუალება მიეცეს ტრამვაით სარგებლობისა. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივმა კომიტეტებმაც და უნდა შეიძინონ თავისი დაწესებულებისათვის აბონიმენტები.

ტრამვაი უპირველესად მუშებისათვის უნდა არსებობდეს. დღეს კი მუშა შორის თვალით უცქერის ცარიელ ვაგონებს (რაც დიდი ხანია აღარ უნახავს ტფილისს) და იგი მოკლებულია საშუალებას მითი სარგებლობისა.

დაუყოვნებლივ ზომები უნდა იქნეს მიღებული, თორემ ტრამვაის განახლებას არავითარი აზრი არ ექნება და პირიქით იგი ზედმეტი ზარალის მომტანი გახდება, თუ კი ტყვილად დაიხარჯება, როგორც ელექტრონის ენერგია, ისე მუშების (ტრამვაის მუშების) შრომა და ვაგონებიც გაცვდება.

ამიტომ საჭიროა სასწრაფოდ ზომების მიღება, რომ მუშა მოსამსახურეებმა მიიღონ ტრამვაის აბონემენტები.

ხ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

დაიკარგა ტესტატი № 203 ზუგდიდის ექვს კლასიანი სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრებისა, გაუქმებულად ჩაითვალოს.
ალექსანდრე ანტონის ძე სიორდია.
1090

დაიკარგა ვექსილი ბლანკი დანიელა მოშას ძის და აშუშა იაკობის ძის ბუზიაშვილებისაგან მოცემული ვექსილი არის ხუთი მილიონი მანეთია. ხელს აწერენ დანიელა მოშას ძე და აშუშა იაკობის ძე ბუზიაშვილები. გაუქმებულად ჩაითვალოს.
ს. გელოვანი.

მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მარ. მაჩაიძე
(ყოფ. გიმნაზიის დამამთავრ. და გამგე)
ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი საზაფხულო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვა და ჩაწერა 7—8 ს. 3—6.
1284

ტირაჟი 1000

[illegible] „[illegible]" [illegible] 17